საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

ოთხშაბათი, 19 ნოემბერი 1919 წ. № 205.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით **50** მან. 3 თვით **130** მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე **2** მ. უკანასკნელზე **1** მ. **50** კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა **50** მ., 12 საათის შემდეგ **70** მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრა მიხეილის ასული შვილები ლადიმერი, მიხეილ. შალვა და დავითი ქალიშვილები ანა კოსტანტინეს ასული ღოღობერიძისა, მარიამი და დელპინე და რძალი ელისაბედ ნიკოლოზის ასული იოსელიანისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

პოსტანტინე იოსების ძე იოსელიანისა.

გამოსვენება ხუთშაბათს 20 ნოემბერს 3 საათზე არტილერიის შესახვევი, ყუფარაძის სახლი. პანაშვიდი ყოველ დღე 4 საათზე. 2—2

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი ჩიტო, დედამთილი სეფორე, მამამთილი სიმონ, მული ელენიჩკა, მაზლები გიორგი და კოლა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ნოემბრის 15-ს გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე და მეორეთა რძალი

ვარვარა ივანეს ასული ჯუმგურიძისა

გამოსვენება მოხდება 20 გიორგობისთვეს დღით ხუთშაბათს სოფელ მწუხარელაში საკუთარ სახლიდან. 3—2

ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში 17 ნოემბერს გარდაიცვალა

პეტრე იოსების ძე გოკიელი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ცოლის დები ანა მესარკოვისა, ეკატერინე ბუდაგოვსკისა, ელისაბედ პისკორსკისა და როზა ბაჯიოღლი და სიძეები, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $4^1/^2$ საათზე გამოსვენება სახლიდან (საკუთარი სახლი თბილისის ქუჩა) ხუთშაბათს 20 ნოემბერს ნაშუადღევის 8 საათზე საფირჩხიის სასაფლაოზედ. 1—1

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში დილით 17 ნოემბერს გარდაიცვალა

პეტრე იოსების ძე გოკიელი

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უბედური დედა ელისაბედ სიმონის ასული, ძმები - მიხეილ, რაფაელ და გაბრიელ იოსების ძენი, რძლები—ელისაბედ სტეფანეს ასული, სოფირ იოსების ასული, ელისაბედ ალექსის ასული შვილებითურთ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $4^1/^2$ საათზე გამოსვენება სახლიდან ხუთშაბათს 20 ნოემბერს. ნაშუადღევის 3 საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე. თბილისის ქუჩა საკუთარი სახლი. 1—1

ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში დილით 17 ნოემბერს გარდაიცვალა

პეტრე იოსების ძე გოკიელი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქვრივი მარიამ იაკობის ასული გოკიელისა, შვილები ლევან, არჩილ და ლილი. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს $4^1/^2$ საათზე. გამოსვენება სახლიდან ხუთშაბათს 20 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი. 1—1

ახალი კონგრესი.

კვირას, 23 ნოემბერს თბილისში ქართულ კლუბის დარბაზში გაიმართება ისტორიული კონგრესი სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა. კონგრესი მოწვეულია საზ. „კახეთის“ თაოსნობით: ეს პირველი ყრილობაა ჩვენი საქმიან ელემენტების, ეს პირველი შემთხვევაა როდესაც ჩვენი დაბეჩავებული, ყოველის მხრივ შევიწროებული, განსაცდელში ჩავარდნილი სასოფლო მეურნეობის უღიდესი და უმნიშნელოვანესი დარგის საჭიროებანი გამოსახვას ჰპოებს კოლექტიურ ნიადაგზე აღმოცენებულ ორგანიზაციაში, რომელიც ყოველ საშუალებას მიმართავს წარმოების არა მარტო საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, არამედ მისი განვითარებისათვის და გაფუჩქვნისათვის. კონგრესი შექმნის მუდმივ ბიუროს, რომელიც თვალყურს ადევნებს კანონმდებლობას და ეცდება მისი შეცვლას მთავრობისა და სხ. მართველ წრეებზე სათანადო ზეგავლენით მევენახეობისა და მეღვინეობის ინტერესებთან შეფარდებით. მუდმივი ბიურო იყოლიებს აგენტებს ევროპის თვალსაჩინო ცენტრებში სათანადო ცნობათა ბიუროსადმი მისაწდომათ. რადიკალური ზომები იქნება მიღებული ჩვენი მეღვინეობის გასაუმჯობესებლათ და ჩვენი ღვინის გასატანათ ევროპის ბაზარზე. ამისთვის წინდაწინ იქნება მუშაობა გაჩაღებული საჭირო ტეხნიკურ ცოდნათა და სამკაულთა შესაძენათ და ხალხში გასავრცელებლათ. შეიქმნება ერთი მთლიანი კავშირი საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა, რომელიც როგორც მთლიანი ერთეული ისე იმოქმედებს პირის პირ საზღვარ-გარეთისა თუ მთავრობისა, თვით კონგრესის პროგრამა შეიცავს ხუთმეტ ძირითად საკითხს, რომელნიც ეხებიან მევენახეობისა და მეღვინეობის უდიდეს საჭიროებათა. ფილოქსერა და მასთან ბრძოლის ორგანიზაციულათ მოწყობა; ვაზების ჯიშების შერჩევა, ატმოსფერულ მოვლენებთან ბრძოლა, ეკონომიური მნიშვნელობა საზოგადოთ მევენახეობა-მეღვინეობისა ჩვენში; აგეთივე საკითხები მეღვინეობის დარგში; შემდეგ საკითხებია შესახებ შესაფერ ცოდნათა გავრცელებისა ხალხში, საცდელ დაწესებულებათა მოწყობა მევენახეობა-მეღვინეობაში, მუშათა საკითხი მევენახეობა-მეღვინეობაში და აგრარულ რეფორმის მოსალოდნელი ზეგავლენა ამავე დარგზე. თუ მივიღებთ მხედველობაში რომ აღნიშნული საკითხები წამოყენებული და გაშუქებული იქნება კოგრესზე, რომ უკანასკნელი აირჩევს კომისიას სათანადო კანონმდებლობის შესამუშავებლათ მთავრობისათვის წარსადგენათ და სახელმძღვანელოთ აშკარაა, რომ ეს კონგრესი უდიდესი მნიშნელობის მოვლენაა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ჩვენ სავსებით მხარს ვუჭერთ აგეთი ყრილობის მომავალ მუშაობას იმ იმედით, რომ იგი სავსებით გაამართლებს ჩვენ შეხედულებას ეკონომიურ პრობლემებზე და უფრო გაამტკიცებს ჩვენს დამოკიდებულებას მთავრობასთან ამ მხრივ. ჩვენ ვიმე-

დღიური.

ბოლშევიკებმა ქ. გლუხორი აიღეს.

მოხალისეებმა სადგურ უმერინკა და ქალაქ იორიბევი აიღეს.

რუსეთში ბოლშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ გრანდიოზული ამბოხებაა.

ესტლიანდია მოხალისეებს ეხმარება.

ომსკი ბოლშევიკებმა აიღეს, 9000 ტყვე წაიყვანეს.

პეტლიურას ფრონტის მიმართულებით მოხალისეებმა აიღეს მოგილოვი და უმერინკა უახლოვდებიან კამენეც პოდოლკს და პრისკუროვს.

დოვნებთ რომ კონგრესი შეიქმნება ახალი ძალა რომელიც დაგვეხმარება ქვეყნის ეკონომიურ ვითარებითა სწორ ნიადაგზე დაყენების საქმეში.

ყოველი მწარმოებელი და მეურნე, ყოველი მევენახე და მეღვინე ვალდებულია თვისი პირადი დასწრებით გაამხნეოს და გააშინაარსიანოს კონგრესი!

სურსათ-სანოვაგის სამინისტრო.

ჯერ ისევ შეამცირეს სამინისტროების რაოდენობა, რომ ორ-ორი და სამ-სამი სამინისტრო თვითო მინისტრს ჩააბარეს.

ახლა კი სურსათის შეძენისათვისაც ცალკე სამინისტრო შექმნეს.

შრომის მინისტრი იქნება იმავე დროს სურსათის საქმეთა მინისტრადაც.

არა ეშველა-რა სურსათის საქმეს: ჯერ სასურსათო კომიტეტის ხელში იყო, შემდეგ სატრანსპორტო კომიტეტის, მერე მომარაგების კომიტეტის ხელში.

ვერც ერთმა კომიტეტმა თავისი დანიშნულება ვერ აასრულა.

ახლა კი ალბად ფიქრობენ: რა-კი გამგედ მინისტრი იქნება, საქმე უკეთ მოეწყობაო.

მაგრამ, რა განსხვავებაა სხვა და სხვა ბიუროკრატიულ დაწესებულებას შორის?—სრულიად არავითარი.

კომიტეტი იქნება თუ სამინისტრო—ორსავე ერთი და იგივე ორგანიზაცია და საფუძველი აქვს.

და თვით გამგეთა შორის, ვფიქრობ, დიდი განსხვავება არ უნდა იყოს.

რის გაკეთება შეუძლია სურსათის მინისტრს? რა აქვს საზღვარ-გარეთ გასაგზავნი, რომ მაგიერი შემოიტანოს?!.

შავი ქვის გაზიდვა შეუძლებელი შეიქნა: იმდენად გაძვირდა მუშის ქირა.

თუთუნის საქმის გამოსწორება ძნელი-ღაა.

წელს ღვინო ნაკლებად მოვიდა.

გამშრალი ხილი არ მოგვეპოება.

მატყლი ცოტა გვაქვს, ბამბა კი სულ არა.

სესხს არავინ გვაძლევს.

მაშ რა საშუალებით შეგვიძლია სურსათის შემოტანა?!.

ვინ რას მოგვცემს ჩვენს ბონებში?!.

და ჩვენ ვფიქრობთ: რრგორც სურსათის, აგრეთვე ყველა სხვა საქმის გამოსწორება დაწესებულების სახელის გამოცვლით კი არ შეიძლება, არამედ მხოლოდ ეკონომიური პოლიტიკის ძირიანად შეცვლით.

ნესტარი.

გამარჯვეგაა თუ დამარცხეგა?

მარშან ოქტომბერში რომ რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა ბოლშევიკებმა რომ დამფუძნებელი კრება გარეკეს და მთელი ძალა უფლება თვითონ ჩაიგდეს ხელში,—ეს მარქსისტული მსოფლმხედველობისათვის დიდი მარცხი იყო: ეს ფაქტი და მრავალი სხვა ნათლად ლაღადებს, რომ არამც თუ არ შეერთდენ პროლეტარები მთელი ქვეყნისა, არამედ სასტიკი ბრძოლაც კი დაიწყეს ერთი მეორის წინააღმდეგ.

ქართული ეროვნული საქმისათვის ეს დიდი გამარჯვება იყო: მსოფლიო პროლეტარიატზე და სოციალიზმზე მზრუნავი ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთიდან გამოიქცენ და და ძალა-უნებურად სამშობლოში დაიწყეს მოქმედება. აქ მათ მალე მეორე მარცხი განიცადეს: მათ მიერ ბუნების წინააღმდეგ შეკოწიწებული სახელმწიფო—ამიერ-კავკასია დაიშალა, ესეც, რასაკვირველია იყო მარცხი მარქსის მოძღვრებისა, რადგან ჩვენი სოც.-დემოკრატები ყველაფერს ამ მოძღვრებაზე აგებენ.

მხოლოდ საქართველოსთვის, ქართული ეროვნული საქმისთვის ეს დიდი გამარჯვება იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა ეს რუსეთისათვის სიკვდილის ფერი იყო.

რუსებს ჩვენ გველის, წიწილებად მივაჩნივართ და ამ დამოუკიდებლობისათვის თუმცა ცათამდი მართალნი ვიყავით, მაგრამ, რასაკვირველია, მაინც არ დაგვინდობდენ. აქ რუსობა ბევრი დარჩა, მათ სომხობა ჩვენი დალუპვის საქმეში ეხმარებოდა. ყოველი საღი გონების მქონე კაცისათვის აუცილებლად საჭირო იყო მათი ჩვენი ქვეყნიდან განდევნა, როგორც მტრებისა.

მხოლოდ მარქსისტიული ინტერნაციონალურ პოლიტიკას ეს არ შეენოდა: ჩვენი მარქსისტები ეროვნულ პოლიტიკას ისე გაურბოდენ როგორც ეშმაკი საკმეველს. ამიტომ ეს ჩვენი მტრები იქ დარჩენ და რაც ჩვენ მათ შავი დღე გვითენეს, რაც ხიდები და გზები დაგვინგრიეს, რაც მატარებლები ჩაგვიგდეს და მგზავრები დაგვიხოცეს, ამას ჩვენი ქვეყნის ისტორია ამბობს და იტყვის კიდევ.

მხოლოდ ეგოდენი უბედურობა, ბოლშევიკური ბანდების შექმნა და თვით მთავრობის წინააღმდეგ სეროზული გალაშქრება და სისხლის ღვრა შეიქმნა საჭირო, რომ მთავრობა მავნებელი ელემენტებისაგან ჩვენი ქვეყნის გაწმენდას შესდგომოდა. ესეც, რასაკვირველია, ჩვენი სოც. დემოკრატიული მოძღვრებისათვის მარხცია; მხოლოდ ქართული საქმის შეგნებაში ეს გამარჯვებაა.

ეხლა თქვენ იმსჯელეთ, დამარცხებაა ეს თუ გამარჯვება?

კონსტანტინე ლომთაძე.

„მევენახეთა და მეღვინეთა საყურადღებოთ.

კვირას, 23 ნოემბერს, თბილისში, ქართულ კლუბის დარბაზში, შესდგება საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობა; ყველა დამსწრეთათვის დამზადებულია ბინები და დღიური ხარჯი. კონგრესის საორგანიზაცო კომიტეტი, რომელშიაც შედიან ნ. ნიკოლაძე, ტ. ჰარგველაშვილი, კ. ბერეკაშვილი, ფოროქიშვილი (თავმჯდომარე) აგრონომები და ცნობილი მეღვინენი, თხოვს ყველა მევენახეთ და მეღვინეთ უსათუოთ დაესწრონ და მიიღონ მონაწილეობა კონგრესის მუშაობაში.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ სენატის მიერ დამტკიცებულ იქმნა იმავ სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ი. ლ. სიდავა

◆ **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა, „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა დავ. დონდუას მიერ შედგენილი ბუნების მეტყველების სახელმძღვანელო „ზოოლოგია“, უმაღლეს-დაწყებით და საშუალო სასწავლებელთა მესამე და მეოთხე კლასის კურსი. სახელმძღვანელო შედგენილია ახალი პროგრამების მიხედვით.

◆ **საბჭოს მორიგი სხდომა.** ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა 20 **ნოემბრისთვის არის დანიშნული.** საბჭოს სხდომაზე შემდეგი საკითხები იქნება განხილული, 1) სანიტარული წესების დასაცველათ ზომების გამომუშავება და საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა ამ ზომების ცხოვრებაში გასატარებლათ 2) განხილვა გიჟების შესანახი კრედიტის, 3) დღიურის გადასინჯვა და 4) შრომის ბირჟის კომიტეტის თავ. არჩევა და ამავე ბირჟის გამგის და მდივნის დამტკიცება.

◆ **კოოპერატივთა ყრილობის დადგენილება.**—16 ნოემბერს კოოპერატივთა ყრილობამ დაადგინა ქუთაისში იქნეს დაარსებული ქუთაისის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრის კოოპერატივების კავშირი. კავშირში გამგეობის წევრად აირჩეს ბატონ თალაკვაძე, ბიბილური, ტუსტა და კაწია წერეთელი.

◆ **მომხმარებელ საზ. „კოოპერაციამ“** თავის მოსამსახურეებს 60% მოუმატა ჯამაგირებზე.

◆ **ქრთამის აღება.** ქუთ. მაზრის კომისარიატის საქმის მწარმოებელი ილიკო ჭილაძე სამსახურიდან დაითხოვეს და პასუხისგებაში მისცეს ქრთამის აღებისთვის.

◆ **უაჩაღის დაპატიმრება.** ცნობილი უაჩაღი კოლია უგლავა ქუთაისის მაზრის კომისართან გამოცხადდ იგი შეიპყრეს.

მოხალისეთა ცნობები.

დენიკინის ლაშქარი. დენიკინის ლაშქარმა ოქტომბრიდან მოსკოვისკენ 180 კილომეტრი წაიწია და ბოლშევიკებისგან გაწმინდა 100,000 კვადრატი კილომეტრი.

ატამანის ღალატი. მოხალისეთა ჯარს, ბოლშევიკებიდან კიევის სამი დღის დაკავების დროს, უღალატა ატამან სტრუკას ჯარმა, რომელიც არ იციან პეტლიურასთან იმყოფება თუ ბოლშევიკებთან.

ტაგანროგი. ასტრახანის მიმართულებით მტერი დავაბარცხეთ, წამოვიყვანეთ 200 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 12 ტყვიის მფრქვეველი. სოლომჩინსკის და პოპოვის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა 50 კაცი ტყვედ წამოიყვანა და ხელში ჩაიგდო ტყვიის მფრქვეველი. ბრიუჩზე ჩვენ სადგური კურლაკი დავიჭირეთ.

ვორონეჟის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა წამოიყვანა 100 ტყვე ჩვენ ზერნოვი და სვესი დავიჭირეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 200 კაცი. ვორონეჟის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ კაშირსკი და ვერეისკი დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ 300 ტყვე.

დიმერის რაიონში გლეხები საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყდენ, ჩვენი პარტიზანების დახმარებით ეს რაიონი წითლებიდან გავათავისუფლეთ.

მესამე ინტერნაციონალური პოლკი გავანადგურეთ, წამოვიღეთ ზარბაზანი და ორი ტყვიის მფრქვეველი.

მოუსავლობით გამოწვეული ნათესების გაფართოვებისათვის ზომების საჭიროება.*)

(მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან)

ამ ჟამად უკვე გამოირკვა, რომ წლევანდელმა უამიდობამ დიდი მოუსავლობა გამოიწვია საქართველოში: მთელი გაზაფხული და ზაფხულის პირველ ნახევრის განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმდა, შემდეგ ხანგრძლივი გვალვა დადგა.

ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოში შემოდგომის პური წვიმებმა დაალპო და გაზაფხულის პური

*) იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

, მთლად გაანადგურა გვალვამ: ...ესე მარცვლის ნაცვლად მჩატე გა...ოდა. ალაგ-ალაგ თბილისის მაზ...ის დასავლეთ სამხრეთ მთიან ნაწი...ში და თელავის მიდამოებში პუ...ი სეტყვამაც დააზარალა. დასავ...ეთ საქართველოში ციცმა წვიმიან...ა გაზაფხულმა ჯეჯილის გადამტე...ელი სისოვლე გამოიწვია და ამი...ომ საჭირო გახდა სიმინდის სულ...ლა დათესვა მეორე მხრივ ზოგა...ვალვამ და ზოგან წვიმებმა სიმინ...ის მოსავალი მთლად დაღუპა.

მოუსავლობის სრული ანგარიში ...ერ-ჯერობით არ მოგვეპოვება: მი...ი გამორკვევა იკისრა ცენტრალუ...ამ სტატისტიკურმა კომიტეტმა.

ზოგიერთი ადგილებიდან კომი...ეტს უკვე მიღებული და დამუშავე...ული აქვს მასალები და იქიდან ...ჩანს) რომ წლევანდელი მოსავალი ...შვალოზე გაცილებით დაბალია; ...ოგან კიდევ ნორმალურ მოსავლის ...ახევარს ძლივს შეადგენს. ამგვარად ...ენს ქვეყანას მოელის სასურსათო ...რიზისის გამწვავება რომელსაც ისეც ...ახიცდის. საჭიროა აღინიშნოს, რომ ...აქართველოს მცხოვრებთ წინა წლებ...ი არ ყოფნიდა საკუთარი პური, ...ეუხედავად იმისა, რომ 30 მილიონ ...ფუთზე მეტი ჰქონდა და ყოველ ...ს 7,5 მილიონ ფუთამდე ფქვილი ...და ხორბალი შამოდიოდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, ...რომ იმავ დროს დასავლეთ საქართ...ველოდან საზღვარ-გარედ 3 მილიონამ...დე ფუთი სიმინდი გადიოდა და ამიერ ...კავკასის სხვა რაიონებშიც 1 მილი...ონამდე ფუთი უმეტესად ქერი, ნაკ...ლებობა 3—4 მილიონ ფუთს შეად...გენს. 1915—16 წ. ომისა და მის...გან გამოწვეულ მობილიზაციის და საქონლის რეკვიზიციის გამო საქარ...თველოში ნათესების რაოდენობა ...ზოგან 25—30% შემცირდა და სა...სურსათო პურეულისა და ქერის და...ცემობამ 1917 წ. ცენტრალურ სა...სურსათო სამმართველოს ანგარიშით 13 მილიონს მიაღწია. 1917 წელს შემოდგომიდან პურის ფასის აწევამ ...ნათესობის რაოდენობით საგრძნობ...ლად ზრდა გამოიწვია და ზოგიერთ ...რაიონებში 25 – 30% და მეტსაც ...აღწევდა. ე. ი. ომიანობამდე არსე...ბულ ნათესების ნორმალურ რაოდე...ნობასაც გადააჭარბა: ამავე დროს ...ზოგიერთი მაზრა (ოზურგეთის, ახა...ლციხისს ახალქალაქის) მტრის შემო...ხევამ დააზარალა. მიმდინარე წელს ...ცენტრალურ სტატისტიკურ კომი...ტეტის მიერ შეგროვილი მასალა ამ ...ტკიცებს, რომ 1917 წელს შედა...რებით მიმდინარე წლის ნათესობის ...რაოდენობამ ზოგიერთ მაზრაში (ახალციხის, ახალქალაქის და ბორ...ჩალოს მაზრის გარდა) შესამჩნევად (20—40%) იმატა; მაგრამ წლევან...დელი მოუსავლობა კი უეჭველია, ...უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყე...ნებს რესპუბლიკას ვიდრე 1917 წელს ...იყო.

მთავრობისა და ერობათა დაწესე...ბულებების წინაშე სდგას საკითხი: მიღებულ იქმნას საჩქარო ზომები, რომ შეერთებულ ძალით ააცდინონ ჩვენ მხარეს მოსალოდნელი მწვავე სასურსათო კრიზისი. ამისათვის კი საჭიროა შემდეგი ზომები:

1) მცხოვრებთათვის თესლის მიწვდენა. და დასავლეთ საქართველოში სადაც სიმინდი არის გავრცელებული, ადრეული პურის (ფეტვი, ლომი ადრეული სიმინდი) თესვისათვის ხელის შეწყობა. რომ მცხოვრებთ საშუალება მიეცეს ადრე მიიღონ მოსავალი. მცხოვრებლებისთვის მისაწვდენი თესლეულობა, რომელიც კარგად გაწმენდილი და გარჩეული უნდა იყოს. მხოლოდ ადგილობრივ ნაცად ჯიშებიდ ნ უნდა დამზადდეს. არ შეიძლება სარწყავ მიდვრებიდან ავიღოთ თესლი ურწყავ მინდვრებისთვის. ამასთანავე საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მთა-გორიან ადგილებში გაზაფხულის პური კარგად ხარობს, ბარში კი შემოდგომის.

2) მცხოვრებთათვის ბოსტნეულობის და ადრეული კარტოფილის თესლის მიწვდენა. კარტოფილი კარგად ხარობს მთის კალთებზე (ახალციხის მაზრა, ლორისა და მანგლისის რაიონი): ფხვიერ, ლამიან და საზოგადოდ ნოყიერ ნიადაგიან ველებზედაც კარგი მოსავალი იცის განსაკუთრებით ადრეულ წითელმა კარტოფილმა. ბოსტნეულობის მოყვანა შეიძლება სხვა და სხვა გვარ კარგად დამუშავებულ და გაპატივრებულ ნიადაგზედ. საქართველოში ბოსტნეულობის კულტურა ძალიან სუსტად არის განვითარებული და მცხოვრებთა საზრდოობისთვის მას ჯერ-ჯერობით არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

3) მცხოვრებთათვის სამეურნეო იარაღების, მანქანების და მათი ნაწილების მიწვდენა და აგრეთვე მათი შეკეთების ორგანიზაციაც ამ ჟამად იარაღების შეკეთებას ხელს უშლის რკინეულობის უქონლობა და ოსტატთა რიცხვის სიმცირე. სასურველია რომ ქუთაისის გუბერნიაში მოეწყოს კულტივატორების დამზადება, რომლების საშვალებით იაფად ჯდება მწკრივად დათესილ იმინდის მოვლა.

4) მთავრობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო მამულებში და სხვა და სხვა ადგილებში პურის და ბოსტნეულობის დათესვა. როგორც ეს უკვე მოაწყო სასალხო გვარდიის შტაბმა ყარაიას მამულის მეორე განყოფილებაში.

(გაგრძელება იქნება.)

„დედა-ენის“ „შეპაჩინკე-ბის“ გამო.

(პატარა შენიშვნა).

განსვენებულმა იაკ. გოგებაშვილმა მთელი თავისი ენერგია უმთავრესად „დედა ენის“ ყოველ წლიურად „შეპაჩინკებას“ შეალია. ავსებდა და „ასწორებდა“ და აღარ იყო დასასრული!..

მასწავლებლებმა კარგათ იციან, თუ რაში გამოიხატებოდა ეს „შევსება და შესწორება“.

საკმარისი იყო, რომელიმე სტატიაში ერთი წინადადება გამოეცვალა, ქვემდებარე და შემასმენელი გადაესვ-გადმოესვა, **„მებელისათვის“ „დგამი“** ეწოდებია, რომ „შესწორებული და შევსებული“ გამოცემა მზათ ყოფილიყო!..

შესწორების წინააღმდეგ რა ითქმის, მაგრამ წიგნის **არსებობის შესწორებას** პლანისა, ენისა და პედაგოგიური პრინციპების მიხედვით ადგილი არა ჰქონია.

მასწავლებლებს კარგათ ახსოვთ ის უხერხული და შეიძლება, გაჭირვებული მდგომარეობაც, რომელშიაც ისინი ვარდებოდენ გამუდმებული ამ „პაჩინკობის„ გამო

ვთქვათ, კლასში 60 მოწაფეზის, — ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, — გაკვეთილზე 60 „დედა ენა“ უნდა გაიშალოს, სულ სხვა და სხვა ნაირათ „შეპაჩინკებული“; კითხულობენ სტატიას — „თხა და გიგო“, ზოგი სად ეძებს და ზოგი სად? — მოსძებნის ერთი და ხმა მაღლა აცხადებს: 35 გვერდზეა! — არა — 40 — ! — იძახის მეორე კლასში აურზაურლის. ბოლს, რის ვაი-ვაგლახით, კლასში წესიერება მყარდება კითხულობს ერთი: „ამ დროს მეზობლის თხა ფეხების ბაკუნით და წვერის ცანცარით ბაკიდან გარეთ გამოვიდა“... (ნახე 29 გამოცემა).

— არა, ბატონო, „გამოსულიყო!“ — ჩემს წიგნში ასე არ სწერია!.. — გაისმის ხმები.

„გამოვიდა“ — „გამოსულიყო“ აი მთელი შესწორებისა და შევსების სურათი!..

მაგრამ უფრო სავალალო ისაა, რომ დღეს განსვენებულის გოგებაშვილის სახელმძღვანელოს ასწორებენ სულ სხვანი, რომელნიც ცნობილი ავტორის პედაგოგიურ აღლოსაც მოკლებულნი არიან და მის გამოცდილებისაც!..

„ასწორებდა“, — რომ ვამბობ, მართლა გასწორებულია არ გეგონათ! გასწორება **გაუმჯობესება** უნდა ნიშნავდეს, — ეს ასე ესმის ყველას! და თუ „დედა-ენის“ „უკანასკნელი, 33 გამოცემა, გაუმჯობესებულია, წამხდარი რაღა იქნება?!.

გავშალოთ, თუ გნებავთ, პირველი გვერდი, და განვიხილოთ სურათი, ამ გვერდზე მოთავსებული.

რა გნებავთ, აქ რომ არ იყოს?

ყანწები, თაროები ჯამ ჭურჭლით, კაკვზე ჩამოკიდებული კალათი, იქვე მოზარნიშებული, ნამდვილი სათავადო ხმალ ხანჯალი და თოფი; ქვევით — სამფეხა სკამი, ძაღლი, კუდ გაბზეკილი კატა და იქვე პატარა გოგონა, ხელში დედოფალათი.

ეს ყველაფერი ვთქვათ კარგი, — სათავადო ქამარ ხანჯალთან ერთ ხერი სამფეხა რომაა მოთავსებული, მაგრამ ეს ადამიანების კრება რაღაა?

მრისხანე პოზაში წამოჭიმული ვაჟკაცი მარჯვენა ხელით მის გვერდით მდგომ ბავშს ემუქრება; ბავშის გვერდით მჯდომარე მოხუცი შეშფოთებული სახით გამოიყურება და თითქო ცდილობს შვილიშვილი საშინელებისაგან დაიფაროს!..

მაგრამ უფრო შეშფოთებულია მარცხნით მჯდომი ბებია. სკოლის ტარ-კვირისტავი ხელიდან გაუგდია, სათვალეები გაუკეთებია და ... მოფაფრულა, თითქო მისწრებაზეა, რომ საკოდავი ბავში მტარვალის ხელიდან დაიხსნასო.

ამ სურათს ქვეშ აწერია: „მიამბეთ, რაა დახატულიო“.

მიბრძანეთ ღვთის გულისათვის, რა უნდა გვიამბონ? ან ვინ უნდა გვიამბოს? 7 წლის ბავშმა, რომელმაც ეს არის ახლა გააოთავა „ანბანი“?.

ან, თუ გნებავთ, მეორე გვერდზე (წიგნში 6 გვერდ.) მოთავსებული ლექსი წავიკითხოთ — „ვანო და ზამთარი“. ნუ მივაქცევთ ყურადღებას, რომ იმავე გვერდზე — გაშლილი ყაყაჩო ყანებს ამშვენებს სიწითლით, „პატარა ნიკოს სკოლაში მიაბარებენ, ის ჯერ „გატკრენილი“ დგას და შემდეგ გამხიარულდება, — მე ვკითხულობ, ამ საბრალო ვანომ რაღა დააშავა, რომ იქვე დაუზამორდა? სკოლაში მიბარების პირველი დღეა, წითლად აპრიალებული ყაყაჩო ყანებს ამშვენებს და იქვე-ზამთარი მთელის თავისი სიმკაცრით გამეფებულა „— „გაყვითლებული დედამიწა“, გარეთ ვედარავინ ჩერდება და „ყველა შინისკენ ეშურება!“.

ასეთი უეცარი და მოულოდნელი გადასვლა ყაყაჩოების სამეფოდან ზამთრის სუსხიან სამეფოში „დედა-ენის“ ახალ „შემპაჩინკებლების“ პედაგოგიურს იბეცეს ამტკიცებს, მეტს არაფერს!-მაგრამ ამ პედაგოგიურ სიბეცესთან ერთად ეს „შეგპაჩინკებლები“ მოფუტურისტე ხალხიც უნდა იყოს:

„გული მისი (ვანოსი) გაზაფხულობს და ზამთარშიც ელხინებაო“.

ეს „გაზაფხულობს“ რ მდენათ მისაღები და გასაგებია 7 წლის ბავშისათვის, — დე ამ „ფუტურისტ-პედაგოგების“ პედაგოგიურმა სინიდისმა ზიდოს!..

ასეთია ამ „შესწორებული და შევსებული“ გამოცემის პირველივე ფურცლები! ასეთი და უარესი მარგალიტები გულუხვათაა გაბნეული „დედა-ენის 220 გვერდის სიგრძე-სიგანეზე! ეს ვაებატონები „დედა-ენას“ თითქო აკეთებენ-არ ვიცითკი, რომელი პირობისა და ლიტერატურული ეთიკის ძალით?! — ნამდვილათ კი მას ამახინჯებენ; განსვენებულ გოგებაშვილს ასეთ პედაგოგიურს უმეცრებასა და უგნურებას როგორ შევსწავებთ, როგორც ეს მის „მემკვიდრეებს“ მოსდით!..

ჩვენ დრო გვექნება-და „დედა-ენის“ შესახებ ვრცლად გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს; ახლა კი ვიტყვით, რომ ამ წიგნის ასე დამახინჯება და ზედ კიდევ გოგებაშვილის სახელს აღნიშნვა, დიდი შეურაცხებაა განსვენებულის ავტორისა და მისი ამაგისა!.. ვისა აქვს ნება, ასე თავის უფალად ითარეშოს სხვის ყანაში, თუ რამე გააფუჭა და გადაჯიჯგნა შიგ, ყანის პატრონსვე მიაწეროს, თვითონ კი ამ ჯიჯგნისათვის გასამრჯელოც მიიღოს!..

რა არის ეს? სიყალბე და უკულმართობა, თუ რა?

მაგრამ „დედა-ენა“ რაც უნდა ჯიჯგნონ, რაც უნდა ამახინჯონ მისი სახე, მაინც ვრცელდება.

დიალ, „დედა-ენა“ მაინც ვრცელდება, მიუხედავათ იმისა, რომ ის თვით წ. კ. გამავრც. საზოგადოე-

ნუსხა

პირველ ქართულ ლატარიის მოგებულ ბილეთებისა, ლატარიის გამგეობის მიერ ხელმოწერილი.

სერ. №№	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგება	ბილეთის №	მოგება
1	247	100	219	100	85	100	172	250	262	100	102	100
2	319	100	499	100	198	100	55	100	11	250	14	100
3	304	100	441	100	8	100	469	100	445	100	196	100
4	452	100	205	100	88	100	303	100	206	100	354	100
5	326	500	149	100	380	100	371	100	240	100	215	100
6	73	100	305	100	95	250	313	100	236	100	151	100
7	80	100	363	100	397	100	63	100	421	100	58	100
8	192	100	202	100	310	100	13	100	390	100	104	100
9	268	250	225	100	318	100	63	100	470	100	136	100
10	354	100	27	100	489	250	253	100	440	100	416	100
11	119	100	165	100	325	100	404	100	51	100	274	100
12	92	100	476	100	324	100	33	100	489	100	491	100
13	14	100	372	100	283	500	208	100	24	100	137	100
14	259	100	497	250	262	100	31	100	224	100	186	100
15	210	100	313	100	295	250	351	100	60	100	31	100
16	240	100	289	100	349	100	252	100	398	100	385	100
17	41	100	361	100	355	250	458	100	259	100	157	100
18	29	100	71	100	102	250	285	100	26	100	36	100
19	486	100	291	100	300	100	322	100	229	100	387	100
20	374	100	473	250	329	100	154	250	226	100	174	100
21	25	100	282	100	62	100	392	100	341	100	318	100
22	155	100	174	100	215	100	321	100	295	100	194	100
23	275	100	314	100	126	100	43	100	488	250	429	100
24	191	100	233	100	476	100	306	100	83	100	76	250
25	141	100	391	100	357	100	24	100	338	100	42	100
26	342	500	259	100	141	100	313	100	37	100	102	100
27	117	100	81	100	65	100	132	100	460	100	487	100
28	186	100	20	100	155	100	162	100	17	100	349	100
29	233	100	402	150	164	100	203	100	448	100	293	100
30	343	100	407	250	186	100	475	100	442	100	402	100
31	108	100	216	100	142	100	395	100	448	100	325	100
32	478	100	383	100	171	100	274	100	466	100	77	100
33	104	100	152	100	61	100	463	100	295	100	45	100
34	244	100	304	100	180	100	64	100	317	100	198	100
35	396	100	224	100	367	100	13	100	447	100	494	100
36	402	100	383	100	376	100	323	100	233	100	230	100
37	384	100	129	100	447	250	352	100	460	100	480	100
38	441	100	142	100	360	100	373	100	7	100	457	100
39	264	100	143	100	149	100	282	100	400	100	215	100
40	345	100	489	100	398	100	324	100	394	100	382	100
41	158	100	342	100	465	100	350	100	476	100	220	100
42	5	100	327	100	393	100	19	100	181	100	278	250
43	334	250	30	5000	469	100	199	500	89	100	6	100
44	98	100	387	100	429	100	466	100	200	100	229	100
45	146	100	391	100	272	100	490	100	315	100	111	100
46	393	100	227	100	316	100	420	100	441	100	109	100
47	136	100	490	100	127	100	143	100	369	100	273	250
48	13	100	430	100	74	100	407	100	439	100	34	100
49	10	100	157	100	283	100	342	100	101	100	298	100
50	91	100	322	100	352	100	199	100	462	100	173	100

ბასაც ალარ მოსწონს, ალარ მიაჩნია ის თანამედროვე პედაგოგიკის მოთხოვნილებისამებრ შედგენილ სახელმძღვანელოთ და საჭიროთ სცნობს მის ხელახლად შესწორებას!..

„ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოება უკვე შეუდგა იაკ. გოგებაშვილს „დედა-ენისა“ და ბუნების კარის“ შესწორებას თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილების თანახმად. „დედა ენის“ შესწორება მინდობილი აქვს 6 კაცისაგან შემდგარს კომისიასთ“,—ვკითხულობთ **„სახალხო საქმის“ 675 №-ში**

ეს იმას ნიშნავს, რომ „დედა-ენა“ დღემდისაც არ ყოფილა თანამედროვე პედაგოგიური პრინციპების მიხედვით შედგენილი, მაშასადამე, ის პედაგოგიურის თვალსაზრისით დღემდისაც მიუღებელი უნდა ყოფილიყო და მკოლაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა!..

ეს არის ერთად-ერთი დასკვნა წ. კ. საზოგადოების ზღმო მოყვანილის დადგენილებისა!

სჩანს, „დედა-ენა“ ვერც მის „შემპაჩინკებლებს“ უხსნიათ ამ საშინელის განაჩენისადან.

და ვერც შემდეგში იხსნიან!..

მაშ, როდემდის უნდა ასწორონ და „აკეთონ“ ეს წიგნი? ან ვისგან უნდა შესდგეს ეს ახალი კომისია? ცხადია, კომისიაც ჩვენთვის უკვე ცნობილ პირთაგან იქნება შემდგარი და მათი შესწორებულიც ისეთივე გამოვა, როგორიც დღემდი იყო!..

მაგრამ ბრმა ტრადიცია და საშინელი უძრაობა, ერთ წერტილზე დგომა, ჩვენ შკოლებში რომაა გამეფებული, „დედა ენის“ ბატონობას ერთხანს კიდევ უზრუნველ ჰყოფს.

მაგრამ როდემდის?

როდემდის გაგრძელდება ამ მოჯადოებულ წრეში ყოფნა?!.

მასწავლებელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ ნო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენ შენიშვნაზე, რომელიც თქვენ მოათავსეთ ჩემი ღია წერილის გამო, ოლიოდე სიტყვა მოგ ხსენოთ.

1, როგორც სჩანს თქვენი შენიშვნიდგან, არ გცოდნიათ, თუ როგორი პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა იყო შედგენილი ინჟინერებიდგან ბ ქურდიანის და მისი ამხანაგებისაგან, რომელთაც ქონდათ ეს საქმე მინდობილი, როდესაც ჩვენ აღმოვაჩინეთ ნაქერალას გვერდით ის წყაროები, რომლის გამოყვანას ვლამობდით. იმ პროექტში ერთად წყალ სადენთან იგულისხმებოდა „კანალიზაცია“ და ტრამვაი„ და მე სწორეთ ამ“ პროექტზედ ვამბობდი ჩემ წერილში.

2, ქუთაისის საარაკო სიბინძურე იმით არ მოისპობა, რომ რამოდენიმე ფეხის ადგილები ააშენოთ შუაგულ ქალაქში, ვინაიდგან თუ წყალი არ იქნა გამოყვანილი, მათი მოვლა შეუძლებელია და რაც არის იმას მოემატება კიდევ ერთი იმდენი. ქალაქმა ეს უკვე გამოცადა: „ზელიონი ბაზარს“ რომ ეძახიან იქ იყო აშენებული ამ გვარი ფეხის ადგილი, მეხაშეებში და კიდევ ორს სხვა ადგილს და სიბინძურის ბეღდეთ გახდენ ისინი, სანამ არ მოსპეს.

2, რაც შეეხება უფასო სამკურნალოს რეორგანიზაციას, ამის შესახებ მოგახსენებთ, რომ ეს სრულიად უნიადაგო რამეა. ჯერ მე არ მინახავს არსად, რომ ამბულატორიაში სპეციალისტები მუშაობდენ და თქვენ კი ამას გულისხმობთ. უფასო ამბულატორია უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ ერთდროულად მოსრულ ავათმყოფებს, რომელთაც ეჭვრებათ საჩქარო დახმარება და ვისაც სპეციალისტი ეჭვრება, იმან უნდა მიმართოს ქალაქის საავათმყოფოს, სადაც მათი ექიმობა და დახმარება ისეთ ძვირად არ უჯდებოდეს, როგორც დღეს, რაც სრულიად უკანონოდ და შეუწყნარებლად მიმაჩნია.

3, სიფილისი, რომ გავრცელებულია ეს ვიცი, მაგრამ ამით ავათმყოფნი ყოველთვის გაურბიან ბარაკებს და თუ არ გჯერათ, დაეკითხეთ გამგეს ქალაქის საავამთყოფოისა, რომელიც მოგახსენებსთ, რომ ეს განყოფილება, თითქმის ყოველთვის ცარიელია. ამისთვის არის სხვა ზომები საჭირო და თუ ეს კითხვა გაინტერესებთ, რისთვის არ მობრძანდით საზოგადო კრებაზედ **პროფესიონალური კავშირისა**, სადაც ეს კითხვა საკმარისად იყო გაშუქებული.

3. რაც შეეხება ამბულატორიის შენახვას, სიბინძურის გასატან კასრებს, აბანოების აშენებას და სხვა და სხვა სანიტარულ ზომებს, ეს უნდა აწარმოვოს ქალაქმა იმ ყოველწლიური შემოსავლით, რომელიც უდრის 15 მილიონს. ნუ-თუ ეს შემოსავალი მაინტერესებთ უნდა ყოფნიდეს ქალაქს თვითმმართველობას და როდესაც რომელიმე სავალდებულო საქმის გაკეთება არის საჭირო, ფასათუოთ უნდა მიმართოს, ანუ სესხს და ან იძულებით გადასახადს, როგორიც არის სანიტარული.

4 წყალსადენი ორჯერ იყო გაცემული „კონცესიით“, მაგრამ „კონცესიონერები“ არა საიმედო პირნი გამოდგენ და დავალება ქალაქის ვერ აღასრულეს და მათი გირაო (залог) ქალაქს დარჩა სალაროში. ერთი მიბრძანეთ, ვისგან გინდათ სესხი აიღოთ? მთავრობას არ აქვს ფული, თქვენ კარგათ იცით და კერძო პირი კი არ გენდობათ ახლა, როდესაც ქალაქი უამისოთაც დავალიანებულია.

დასასრულ მოგახსენებთ, რომ მე, მისთვის დავბეჭდე ღია წერილი, რომ საბჭოს სხდომას ვერ დავესწრები, ვინაიდგან თბილისში უნდა წავიდე სხვა საზოგადო საქმისათვის და მინდოდა ჩემი აზრი გამომეთქვა შესახებ იმ გეგმისა, რომელიც გამგეობას შეუდგენია. იმედი მქონდა, რომ ხმოსნები ამ საკითხს ჩაუფიქრდებოდენ და ისე შეუდგებოდენ ამ დიდი საქმის გადაწყვეტას.

ხმოსანი დრმ. ნაზაროვი.

რედაქციის შენიშვნა.

არ ვეთანხმებით პატივცემულ ექიმს დ. ნაზაროვს:

1) 8 მილიონათ წყალსადენი არ გაკეთდება. დავიწყებთ და, რასაც გავაკეთებთ, ისიც დაგვენგრევა, ვიდრე ხელახლა საქმეს შეუდგებოდეთ,

2) წყალსადენი, როგორც შემოსავლიანი საქმე უნდა გაკეთდეს სესხით.

3) სესხი და კონცესიით გაცემა ერთი-და-იგივე არ არის. შეიძლება გავაკეთოთ ოჯახური სისტემით.

4) წყალსადენის გაკეთება არ შეიძლება დღევანდელ სიძვირეში.

5) არხების შეკეთებას, ფეხის ადგილებს, სიბინძურის გატანას, და სხ. რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თავისთავად ცხადია.

6) ამბულატორიის მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე ექ. დ. ნაზაროვი ფიქრობს. ის იმდენადვე აუცილებელია, რამდენადაც მწოლიარეთა სამკურნალო.

7) ამბულატორია უნდა იყოს ცენტრში და არა საღორიაში. ეს თავისთავად ცხადია.

8) საკვირველია, როცა ექ. ნაზაროვი ისეთს რასმე უარყოფს, რასაც დღემდის აღიარებდა.

რას მივაწეროთ?!

რედაქტორი.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

ტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.